ნინო გორდელაძე • გვანცა ჩხენკელი

# ჩემი პირველი სიტყვები ანბანის წიგნიდან



პატარა წიგნი ნახატებითა და გამოცანებით პირველკლასელთათვის

**მხატვარი ნინო ჩაკვეტაძე**

შენი სახელი და გვარი

სულაკაურის გამომცემლობა

ᲩᲔᲛᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲓᲐᲜ
პირველკლასელთათვის

ავტორები: **ნინო გორდელაძე, გვანცა ჩხენკელი**
კონსულტანტი **ლელა მანგოშვილი**
მხატვარი **ნინო ჩაკვეტაძე**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **ლიკა ცქიტიშვილი**

© ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2024
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-37-583-5

Nino Gordeladze
Gvantsa Chkhenkeli

MY FIRST WORDS FROM THE ALPHABET BOOK
1ST GRADE

© Sulakauri Publishing, 2024
Tbilisi, Georgia

www.sulakauri.ge

მოსასმენი მუსიკალური მასალა:
© „საათი“ – **გოგი ცაბაძის მუსიკა დოდო გვიშიანის ტექსტზე**, გვ. 5;
© „ჩემი ლამაზი პეპელა“ – **მაია ოთიაშვილის მუსიკა ალექსანდრე შენგელიას ტექსტზე, ასრულებს ია გაბუნია**, გვ. 26;
© „ქართული ანბანი სიმღერით“ – **ტექსტი და მუსიკა მაია ოთიაშვილისა**, ვიდეოკლიპი გვ. 40;
© „იავნანა“ (ხალხური) – **ასრულებენ მაია ოთიაშვილი და ნანა ვალიშვილი**, გვ. 36.

**გამოცანებს მოსასმენად ახმოვანებს ნათია ნაფეტვარიძე.**
**გარეკანზე წარმოდგენილია რუსუდან სუხაშვილის ხელნაწერი.**

მოისმინე გამოცანა!

1



ის ჩვენს წიგნში
ანბანს იწყებს,
ლურჯი ფერის ყვავილია
და სახელად ჰქვია ...!

ჩაწერე პასუხი: _ _

- რა გაიგე მის შესახებ გამოცანიდან?
- აღწერე ის ნახატის მიხედვით!
- გაიხსენე:

ა

ი

მოისმინე გამოცანა!

**2**



დათვლაშიც გვეხმარება,
სულ გვაქვს ათი!
ერთი ხელის ერთ ცალს
კი ჰქვია ...!

ჩაწერე პასუხი: __ _ __ _

- რა გაიგე მის შესახებ გამოცანიდან?
- განმარტე სიტყვები: ცერი, ნეკი.
- გაიხსენე: თ



მოისმინე გამოცანა!

**3**



ზუსტ დროს ამით გავიგებთ,
არ გვჭირდება კამათი,
დღე და ღამე წიკწიკებს,
ეს გახლავთ ...!

ჩაწერე პასუხი: _ _ _ __ _

მოისმინე სიმღერა!

- რა გაიგე მის შესახებ გამოცანიდან?
- დილით როდის დგები?
- გაიხსენე:

ს

მოისმინე გამოცანა!

**4**



ერთი ასოთი მეტია
მასზე სიტყვა – თიხა,
სულიერია, კიკინებს,
სახელად ჰქვია ...!

ჩაწერე პასუხი: ___ _ _

★ რამდენი ასოა ამ სიტყვაში? ჩამოთვალე.

★ აღწერე ნახატის მიხედვით! იპოვე შებმული ეჟვანი!

★ გაიხსენე: ნ

ნ

მოისმინე გამოცანა!

5



„ო“ ასოსთან გავიხსენე
ერთი სიტყვა – ქოხი,
მაგრამ წიგნში ამ ასოზე
ჩვენ ვისწავლეთ
სამუშაო იარაღი –
სახელად ...!

ჩაწერე პასუხი: __ __ _ _

რომელი ასოთი იწყება ეს სიტყვა?

რაში დაგვეხმარება ეს სამუშაო იარაღი?

გაიხსენე: ო

ო

მოისმინე გამოცანა!

**6**



სულ პატარა სიტყვით
გავიცანით ასო „ე“,
გახსოვს ალბათ სიტყვაც –
ტანმაღალი, ფესვიანი –
ეს არის ...!

ჩაწერე პასუხი: _ _

★ რომელი ასოთი იწყება ეს სიტყვა?

★ თუ დაგირგავს ის?

★ გაიხსენე:

ე

მოისმინე გამოცანა!

7



თუ დაგექმუჭნა პერანგი,
სწორედ ის უნდა ჩართო,
დაგეხმარება უთუოდ,
სახელად ჰქვია ...!

ჩაწერე პასუხი: ___ ___ ___

რომელი მინიშნებით გამოიცანი ეს პასუხი?

რა არ უნდა დაგავიწყდეს, როდესაც მას იყენებ?

გაიხსენე:





მოისმინე გამოცანა!

**8**



ცხოველებს კუდი აბიათ,
მაგრამ ყველას კუდი ჰქვია?
ეს ცხოველი ცხენი თუა,
მას ექნება უკან ...!

ჩაწერე პასუხი: _ __ _

რომელი მინიშნებით გამოიცანი ეს პასუხი?

იცი თუ არა, რა არის ფაფარი?

გაიხსენე: ძ

ძ

მოისმინე გამოცანა!

**9**



ამ ხის გამოსაძერწად
დაგვჭირდება მწვანე თიხა,
ტანად დიდია, რკოს ისხამს
მიხვდი, რა არის?
...!



ჩაწერე პასუხი: _ __ _ _

- რა არის ამ სიტყვის მეორე ასო?
- გამოძერწე ხე, რომელიც რკოს ისხამს!
- გაიხსენე: მ

მ

მოისმინე გამოცანა!

**10**



ზამთარი რომ მოახლოვდა,
მოიწვია პაპამ მუშა,
ხმელ მორს ერთად დახერხავენ,
გაამზადონ უნდა
...!

ჩაწერე პასუხი: _ _ _ _

რომელი ასო მეორდება ამ სიტყვაში?

მიხვდი, რა ყოფილა ხმელი მორი?

გაიხსენე: მ

მ